

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა მოხდა პირდაპირი პრაქტიკული მიზნიდან გამომდინარე. ამჟამად საქართველოში რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულს (ავტონომიური რესპუბლიკა, მხარე, მუნიციპალიტეტი, ადგილობრივი მმართველობის ქალაქი) გააჩნია მრავალპროფილიანი გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემა და შესაბამისი ელექტრონული რუკათა სერია ან სრული კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასი. აღნიშნული კარტოგრაფიულ-გეოინფორმაციული პროდუქტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კონკრეტული ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული მართვისა და ჩასატარებელი ღონისძიებების სწორად დაგეგმვა-განხორციელებისათვის.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შეიქმნას სენაკის მუნიციპალიტეტის გეოინფორმაციული სისტემა და შესაბამისი ელექტრონული რუკათა კრებული ერთგვარი მინიატლასის სახით, პრაქტიკული გამოყენების მიზნებისათვის.

სამაგისტრო ნაშრომის სრულფასოვნად შესრულების მიზნით მოეწყო ექსპედიცია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამაგისტრო ნაშრომის ავტორის ინიციატივით. ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურებისაგან აღებულ და შეგროვილ იქნა: სტატისტიკური, ანალიტიკური, ლიტერატურული და კარტოგრაფიული წყაროები. ადგილზე მონახულებულ და აღწერილ იქნა სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტები. აღნიშნული გეომონაცემთა სისტემატიზაციისა და კარტოგრაფიული გადამუშავების შედეგად შეიქმნა რუკათა სერია, რომლის შემადგენლობაში შედის ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების რუკები. შემდგომ ეტაპზე მოხდა შედგენილი რუკებისა და გეომონაცემთა ბაზის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი და ტექსტური ფორმით, წარმოდგენილ იქნა პრაქტიკული დანიშნულების რეკომენდაციები.